მოკლე ბიოგრაფია
გივი ადამია არის სამართლის მკვლევარი და პრაქტიკოსი, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია - კონკურენციის სამართალი, ენერგეტიკის სამართალი და სამოქალაქო სამართალი. პროფესიული საქმიანობის პარალელურად, 2017 წლიდან იგი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ლიცენზირებული ადვოკატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. მისი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება მოიცავს წამყვან პოზიციებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. მას აქვს მრავალწლიანი ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება კერძო იურიდიული პრაქტიკის, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების, ენერგეტიკის სექტორის რეგულირებისა და სამოქალაქო/საკორპორაციო სამართლის მიმართულებით. ამავე სფეროებში იგი არის არერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. იგი აქტიურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე, სადაც უძღვება სალექციო კურსებს ისეთ საგნებში, როგორიცაა: შესავალი სამოქალაქო სამართალში, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, კონკურენციის სამართალი და სხვა. დისერტაცია დაცული აქვს თემაზე - ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია და მისი სამართლებრივი შედეგები ქართული, გერმანული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით.
გამოქვეყნებული სტატიები
1. ინფორმაციის გაზვიადება, როგორც რეკლამის უსამართლო კომერციულ საქმიანობად კვალიფიკაციის გამომრიცხავი გარემოება (თანაავტორობით); 2. განცალკევების არსი და მისი ფუნქცია ენერგეტიკის სამართალში; 3. Compatibility of Standardization Agreements with EU Competition Law: Legal Insights; 4. The Separation of Competition Law Enforcement Powers Between Competition and Regulatory Authorities in Georgia; 5. კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების პერსპექტივები საქართველოში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითზე (ქართულ და გერმანულ ენებზე); 6. ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები (ქართულ და ინგლისურ ენებზე); 7. ეკონომიკური აგენტის ცნება ქართულ კონკურენციის სამართალში (ქართულ და ინგლისურ ენებზე); 8. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის პრობლემა ქართული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით.